

## ფასიკ-ის ინტერპრეტაცია 13

### მომხმარებელთა წახალისების პროგრამები

#### წყაროები

- ფასიკ 13 – „რეალური ღირებულების შეფასება“
- ბასს 8 – „სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები“.
- ბასს 18 – „ამონაგები“.
- ბასს 37 – „ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები“.

#### ამოსავალი ინფორმაცია

1. მომხმარებელთა წახალისების პროგრამებს საწარმოები იმისთვის იყენებენ, რომ მომხმარებლები წახალისონ, შეიძინონ მათი საქონელი ან მომსახურება. თუ მომხმარებელი ყიდულობს საქონელს ან მომსახურებას, საწარმო მომხმარებელს აძლევს სასაჩუქრე კრედიტებს (ხშირად უწოდებენ „ქულებს“). მომხმარებელს სასაჩუქრე ქულების გადაცემა შეუძლიათ, მაგალითად, უფასო ან ფასდაკლებით შეთავაზებულ საქონელზე ან მომსახურებაზე.
2. ეს პროგრამები სხვადასხვაგვარად მოქმედებს. მომხმარებელს შეიძლება მოეთხოვოს სასაჩუქრე ქულების წინასწარ დადგენილი მინიმალური ღირებულების ან რაოდენობის დაგროვება, საჩუქარში გადაცვლამდე. სასაჩუქრე ქულა შეიძლება დაკავშირებული იყოს ინდივიდუალურ შესყიდვებთან ან შესყიდვების ჯგუფთან, ან მუდმივ კლინეტთან/მომხმარებელთან გარკვეული პერიოდის განმავლობაში. საწარმოს თავად შეუძლია ამოქმედოს მომხმარებელთა წახალისების პროგრამა, ან მონაწილეობა მიიღოს მესამე მხარის მიერ ამოქმედებულ წახალისების პროგრამაში. შეთავაზებული საჩუქრები შეიძლება მოიცავდეს თვითონ საწარმოს მიერ მიწოდებულ საქონელს ან მომსახურებას და/ან მესამე მხარისგან საქონლის ან მომსახურების მოთხოვნის უფლებას.

#### მოქმედების სფერო

3. წინამდებარე ინტერპრეტაცია ეხება მომხმარებელთა წახალისებელ სასაჩუქრე ქულებს:
  - ა) რომელსაც საწარმო ანიჭებს თავის მომხმარებელს, როგორც გაყიდვის ოპერაციის (ე.ი. საქონლის გაყიდვა, მომსახურების გაწევა, ან მომხმარებლის მიერ საწარმოს აქტივების გამოყენება) ნაწილს; და
  - ბ) იმ პირობით, თუ დაკმაყოფილებულია დამატებითი პირობები, მომხმარებლებს შეუძლიათ მომავალში მათი გამოსყიდვა საქონლის ან მომსახურების მიღებით, უფასოდ ან ფასდაკლებით.

ინტერპრეტაცია ეხება იმ საწარმოს აღრიცხვის წესებს, რომლებიც სასაჩუქრე ქულებს გასცემს თავის მომხმარებლებზე.

## განსახილველი საკითხები

4. მოცემულ ინტერპრეტაციაში განხილულია შემდეგი საკითხები:
- ა) საწარმომ როგორ უნდა აღიაროს და შეაფასოს ვალდებულება, რომელიც ეხება მომავალში უფასო ან ფასდაკლებული საქონლის მიწოდებას ან მომსახურების გაწევას („საჩუქრები“):
    - (i) გაყიდვების ოპერაციებიდან მიღებული ან მისაღები მოგიერთი ანაზღაურება სასაჩუქრე ქულას მიეკუთვნოს და მომავალ პერიოდში გადაიგანოს ამონაგების აღიარება (ბასს 18-ის მე-13 პუნქტი); თუ
    - (ii) ანარიცხები შექმნას გათვალისწინებული საჩუქრების გაცემის მომავალი დანახარჯებისთვის (ბასს 18-ის პუნქტი 19); და
  - ბ) თუ ანაზღაურება სასაჩუქრე ქულეს მიეკუთვნება:
    - (i) რა რაოდენობის ანაზღაურება უნდა მიეკუთვნოს მათ;
    - (ii) როდის უნდა აღიარდეს ამონაგები; და
    - (iii) თუ მესამე მხარე გასცემს მომხმარებელზე საჩუქრებს, როგორ უნდა შეფასდეს ამონაგები.

## კონსენსუსი

5. საწარმომ უნდა გამოიყენოს ბასს 18-ის მე-13 პუნქტი და სასაჩუქრე ქულები ასახოს როგორც გაყიდვის იმ ოპერაციის (ოპერაციების) ინდივიდუალურად იდენტიფიცირებადი კომპონენტი, რომლის დროსაც ისინი გაიცა („საწყისი გაყიდვა“). საწყისი გაყიდვასთან დაკავშირებით მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულება უნდა განაწილდეს სასაჩუქრე ქულებსა და გაყიდვის სხვა კომპონენტებს შორის.
6. სასაჩუქრე ქულებზე მიკუთვნებული ანაზღაურება უნდა შეფასდეს მათი რეალური ღირებულებით, ანუ იმ თანხით, რომელი თანხითაც გაიყიდებოდა სასაჩუქრე ქულები ინდივიდუალურად.
7. თუ საწარმო თავად იძლევა საჩუქრებს, მან სასაჩუქრე ქულებზე მიკუთვნებული ანაზღაურება მაშინ უნდა აღიაროს როგორც ამონაგები, როდესაც სასაჩუქრე ქულები დაიფარება და საწარმო შეასრულებს საჩუქრების გაცემის ვალდებულებებს. აღიარებული ამონაგების თანხა უნდა ეყრდნობოდეს სასაჩუქრე ქულების იმ რაოდენობას, რომელიც დაიფარა საჩუქრებით, მთლიან რაოდენობასთან მიმართებაში, რომლის დაფარვაც მოსალოდნელია.
8. თუ მესამე მხარე იძლევა საჩუქრებს, საწარმომ უნდა განსაზღვროს, თავად არის სასაჩუქრე ქულებზე მიკუთვნებული ანაზღაურების მიმღები (ე.ი. ოპერაციის პრინციპალი), თუ მესამე მხარის სახელით იღებს სასაჩუქრე ქულებზე მიკუთვნებულ ანაზღაურებას (ე.ი. მოქმედებს როგორც მესამე მხარის აგენტი).
- ა) თუ საწარმო ანაზღაურებას იღებს მესამე მხარის სახელით, მან უნდა:
- (i) შეაფასოს თავისი ამონაგები როგორც წმინდა თანხა, ე.ი. როგორც სასაჩუქრე ქულებზე მიკუთვნებულ ანაზღაურებასა და საჩუქრების მოწოდებისთვის მესამე მხარისათვის გადასახდელ თანხას შორის სხვაობა; და
  - (ii) აღიაროს ეს წმინდა თანხა როგორც ამონაგები, როდესაც მესამე მხარე ვალდებული ხდება საჩუქრების გაცემაზე და უფლებამოსილია, მიიღოს ანაზღაურება ამის გამო. აღნიშნული მოვლენები შეიძლება მაშინვე მოხდეს, როგორც კი სასაჩუქრე ქულები გაიცემა. მეორე მხრივ, თუ მომხმარებელს არჩევანის უფლება აქვს, საჩუქრები მოითხოვოს ან საწარმოსაგან, ან მესამე მხარისაგან, ამგვარი მოვლენები შეიძლება მხოლოდ მაშინ მოხდეს, როდესაც მომხმარებელი ირჩევს საჩუქრების მოთხოვნას მესამე მხარისაგან;

- ბ) თუ საწარმო თავად იღებს ანაზღაურებას, მან თავისი ამონაგები უნდა შეაფასოს როგორც სასაჩუქრე ქულებზე მიკუთვნებული ბრუგო ანაზღაურება და ამონაგები მაშინ უნდა აღიაროს, როდესაც შეასრულებს თავის ვალდებულებებს, საჩუქრების გაცემასთან დაკავშირებით.
9. თუ ნებისმიერ დროს მოსალოდნელია, რომ საჩუქრების გაცემის ვალდებულებების გარდაუვალი დანახარჯები გადააჭარბებს მიღებულ და მომავალში მისაღებ ანაზღაურებას (ანუ თავდაპირველი გაყიდვისას სასაჩუქრე ქულებზე მიკუთვნებულ ანაზღაურებას, რომელიც ჯერ კიდევ არ არის აღიარებული როგორც ამონაგები, პლუს ნებისმიერი შემდგომში მისაღები დამატებითი ანაზღაურება, როდესაც მომხმარებელი გამოიყენებს სასაჩუქრე ქულებს), ეს იმას ნიშნავს, რომ საწარმოს გააჩნია წამგებიანი კონტრაქტები. ამ ნამეგი თანხისთვის უნდა აღიარდეს ვალდებულება ბასს 37-ის შესაბამისად. ამგვარი ვალდებულების აღიარების საჭიროება შეიძლება მაშინ წარმოიშვას, თუ საჩუქრების გაცემის მოსალოდნელი დანახარჯები იზრდება. მაგალითად, თუ საწარმო გადასინჯავს და შეასწორებს სასაჩუქრე ქულების იმ რაოდენობას, რომლის დაფარვაც მოსალოდნელია.

## ძალაში შესვლის თარიღი

10. საწარმომ წინამდებარე ინტერპრეტაცია უნდა გამოიყენოს წლიური პერიოდებისათვის, რომლებიც იწყება 2008 წლის 1 ივლისს ან მის შემდეგ. დასაშვებია ვადაზე ადრე გამოყენებაც. თუ საწარმო ამ ინტერპრეტაციას 2008 წლის 1 ივლისამდე დაწყებული პერიოდისთვის გამოიყენებს, მან ეს ფაქტი უნდა განმარტოს ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.
- 10ა. მგ2 პუნქტი შეიცვალა 2010 წლის მაისში გამოცემული დოკუმენტის – „*ფასს-ების გაუმჯობესება*“. საწარმომ ეს ცვლილება უნდა გამოიყენოს 2011 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებულ წლიურ პერიოდებში. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენება. თუ საწარმო გემოაღნიშნულ ცვლილებას 2011 წლის 1 იანვრამდე დაწყებულ პერიოდებში გამოიყენებს, მან ეს ფაქტი უნდა განმარტოს ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.
- 10ბ. 2011 წლის მაისში გამოცემულმა ფასს 13-მა – „*რეალური ღირებულების შეფასება*“ – გამოიწვია მე-6 და მე-1–მე-3 პუნქტების შეცვლა. საწარმომ გემოაღნიშნული ცვლილებები იმ საანგარიშგებო პერიოდში უნდა გამოიყენოს, როდესაც გამოიყენებს ფასს 13-ს.
11. სააღრიცხვო პოლიტიკაში მომხდარი ცვლილებები უნდა აისახოს ბასს 8-ის შესაბამისად.

## დანართი

### მითითებები გამოყენებაზე

დანართი ინტერპრეტაციის განუყოფელი ნაწილია.

#### სასაჩუქრე ქულების რეალური ღირებულების შეფასება

- მგ1. კონსენსუსის მე-6 პუნქტი მოითხოვს, რომ სასაჩუქრე ქულებზე მიკუთვნებული ანაზღაურება შეფასდეს მათი რეალური ღირებულების მიხედვით. თუ არ არსებობს იდენტური სასაჩუქრე ქულების კოტირებული საბაზრო ფასი, რეალური ღირებულება უნდა შეფასდეს შეფასების რომელიმე სხვა მეთოდით.
- მგ2. საწარმოს სასაჩუქრე ქულების რეალური ღირებულების გამოთვლა შეუძლია იმ საჩუქრების რეალური ღირებულების მიხედვით, რომელზეც ქულები იცვლება. სასაჩუქრე ქულების რეალურ ღირებულებაში გაითვალისწინება, საჭიროებისმატერ:
- ა) ფასდაკლების თანხა, ან იმ საჩუქრების ღირებულება, რომელიც შეთავაზებული იქნება მომხმარებლისთვის, რომელსაც არ დაუმსახურებია სასაჩუქრე ქულები თავდაპირველი გაყიდვისას;
  - ბ) ისეთი სასაჩუქრე ქულების ხვედრითი წილი, რომლის გაცვლა საჩუქრებზე მოსალოდნელი არაა მომხმარებლების მიერ; და
  - გ) ვალდებულების შეუსრულებლობის რისკი.
- თუ მომხმარებლებს შეუძლიათ არჩევანის გაკეთება განსხვავებული საჩუქრების ასორტიმენტიდან, სასაჩუქრე ქულების რეალური ღირებულება ასახავს საჩუქრების ხელმისაწვდომი ასორტიმენტის რეალურ ღირებულებას, რომელიც შეწონილია თითოეული საჩუქრის შერჩევის მოსალოდნელი სიხშირის პროპორციულად.
- მგ3. ზოგ შემთხვევაში, შეიძლება სხვა შეფასების მეთოდების გამოყენება, მაგალითად, თუ მესამე მხარე უზრუნველყოფს საჩუქრებს და საწარმო მესამე მხარეს უხდის თითოეული გაცემული სასაჩუქრე ქულისთვის, სასაჩუქრე ქულების რეალური ღირებულების გამოთვლა შესაძლებელია იმ თანხის მიხედვით, რასაც საწარმო მესამე მხარეს უხდის, რომელსაც დამატებული ექნება მოგების მარჯის მისაღები სიდიდე. საწარმოს ხელმძღვანელობამ უნდა იმსჯელოს და ისე გადაწყვიტოს, შეფასების რომელ მეთოდს შეარჩევს და გამოიყენებს, რათა დააკმაყოფილოს კონსენსუსის მე-6 პუნქტის მოთხოვნები და გამოყენებული შეფასების მეთოდი ყველაზე მეტად შეეფერებოდეს მოცემულ კონკრეტულ სიტუაციას.

